

ენკენი



ვაშლის ჩიფსი - „ენკენი“

შიდა ქართლი - გორი, სოფელი დიცი

ტელ: +995 598 332069

ელ. ფოსტა - fit.company00@gmail.com

FB გვერდი - <https://www.facebook.com/enkeni00/>

თამარ შეითნიშვილმა და ნონა ნონიაშვილმა საქმიანობა გორის რაიონის სოფელ დიციში დაიწყეს, რომელიც საოკუპაციო ხაზთან მდებარეობს. ამ ეტაპზე, მათი კომპანია აწარმოებს ერთი სახეობის პროდუქტს - ვაშლის ჩიფსს „ენკენი“.

ენკენი ინოვაციური ტექნოლოგიით დამზადებული ქართული ვაშლის ჩიფსია, რომელიც შეიცავს მხოლოდ ვაშლს (დეჰიდრირებული სახით) და მზადდება ზეთისა და დანამატების გარეშე. ენკენი არის ჯანსაღი, ხრამუნა და გემრიელი სასუსნავი, რომელშიც მაქსიმალურად შენარჩუნებულია ვაშლში არსებული სასარგებლო თვისებები.

თამარის და ნონას მიერ წარმოებული ახალი პროდუქტი აქტიურად იყიდება თბილისის მასშტაბით - ევროპროდუქტში, აგროკაბში, გუდვილში, ნიკორაში, სპარში, კავეას კინოთეატრში.



